ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N2

2017 წლის 17 იანვარი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით სამდივნოს შექმნის შესახებ

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შეიქმნას სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ა) თენგიზ ცივაძე - სამინისტროს საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - სამდივნოს უფროსი;

ბ) ქეთევან ჯაფარიძე - სამინისტროს საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - სამდივნოს წევრი;

გ) თამარ ჯაბუა - სამინისტროს საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - სამდივნოს წევრი.

2. დაევალოს სამდივნოს კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით სამდივნოს შექმნის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის 2014 წლის 1 დეკემბრის N2 ბრძანება.

4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ მესხიძე